დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება-** თურქოლოგია

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - რეგიონთმცოდნეობის ბაკალავრი თურქოლოგიაში

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელები**

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - **გიორგი ანთელავა**
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულიპროფესორი - **ელენე ჯაველიძე**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში ან/დალიტერატურაში. სპეციალობის არჩევა ხდება მეორე სემესტრიდან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე თურქოლოგი, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევებს. პროგრამა არის განსხვავებული და თავისებური, ვინაიდან ის კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც აერთიანებს თურქული ენის, თურქული ფოლკლორისა და ლიტერატურის, თურქეთის ისტორიისა და კულტურის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის და სხვ. საკითხებს. მოიცავს არა მხოლოდ აკადემიურ დისციპლინებს, არამედ არის მნიშვნელოვანი ასპექტი `ზოგადად კულტურული ინდივიდის ჩამოყალიბებისათვის. თურქოლოგიის პროგრამის ფილოლოგიური ნაწილის მიზანი არის ახალი თურქული ენის საფუძვლიანად დაუფლება. ბაკალავრს უნდა შეეძლოს როგორც კლასიკური პერიოდის ძეგლების, ისე თანამედროვე თურქული პროზისა თუ პოეზიის ნიმუშების თავისუფლად გაგება; კარგად უნდა ფლობდეს როგორც მწიგნობრულ ენას, ასევე სასაუბრო ენის ნორმებსაც. უნდა იცნობდეს თურქული ენის განვითარების მოკლე ისტორიას; ღრმად უნდა ჰქონდეს გაანალიზებული თურქული ენის შესწავლის მნიშვნელობა ქართული ენისა და კულტურის ისტორიისათვის.

თურქოლოგიის პროგრამის ისტორიის ნაწილის მიზანი არის თურქი ხალხის ეთნოგენეზის, თურქეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების, თურქი ეთნოსის მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენების, თურქული სუნიტური ისლამის თავისებურებების ძირითადი დებულებების და თეოლოგიური საფუძვლების, ოსმალეთის იმპერიისა და თანამედროვე თურქეთის ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციების, მისი რეგიონალური პოლიტიკის, საქართველოსთან სპეციფიკურ ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობების ცოდნა და გაგება.

8. სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის თურქი ხალხის ეთნოგენეზის, თურქეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. დაეუფლა თურქი ეთნოსის მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს; ამ სფეროში უპირატესი ყურადღება მიექცევა ბაკალავრის მიერ თურქული სუნიტური ისლამის თავისებურებების ძირითადი დებულებების და თეოლოგიური საფუძვლების სწავლებას. ბაკალავრს გარკვეული წარმოდგენა შეექმნა ოსმალეთის იმპერიისა და თანამედროვე თურქეთის ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციებზე, მის რეგიონალურ პოლიტიკაზე, საქართველოსთან სპეციფიკურ ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებზე.

კურსდამთავრებულს აქვს რეგინმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა; წარმოდგენა ზოგადად თურქოლოგიაზე და ამ სკოლის ტრადიციებზე საქართველოში. თურქული ენის (ფონეტიკა - ფონოლოგია, მორფონოლოგია, მორფოლოგია, მორფოსინტაქსი, სინტაქსი) საბაზისო ცოდნა. ისლამამდელი (ანონიმური მწერლობა, დესტანები), ისლამის შემდგომდორინდელი (დივანის, თანზიმათის) და თანამედროვე თურქული ლიტერატურის საბაზისო ცოდნა. კურსდამთავრებულს შეუძლია თურქულიდან ქართულად და ქართულიდან თურქულად საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - წინამდებარე სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს ჩამოუყალიბდა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის უნარი, რათა ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერების შემდეგ გაიაზროს ისტორიული პროცესი, მისი შედეგები და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. თურქულიდან ქართულად და ქართულიდან თურქულად საშუალო სირთულის ტექსტების თარგმნა, მცირე ფორმატის საქმიანი ქაღალდების თარგმნა. ბაკალავრს შეუძლია გარკვეული სამუშაოების შესრულება თურქეთის ისტორიისა და კულტურის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან მან შეიძინა უნარი პრაქტიკულად დასაქმდეს თურქეთში არსებულ საქართველოს საელჩოში, საკონსულოებში და სხვა წარმომადგენლობებში.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს ისტორიული მოვლენების, ფაქტების, ისტორიული პროცესის, ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; სხვადასხვა მეცნიერული შეხედულებების აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი; სადავო მეცნიერული შეხედულებების შემთხვევაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღება და პრობლემის გადაჭრის უნარი.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია რეფერატების, ესსეების, მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია როგორც მშობლიურ, ასევე თურქულ ენებზე; გამართული აკადემიური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე; კომუნიკაცია ერთერთ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე, ტექნოლოგიური უნარებიდან თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებისა, ანალიზის და ინფორმაციის მენეჯმენტის უნარები.

სწავლის უნარი **-** კურსდამთავრებულს აქვს საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარი თურქოლოგიის დარგში არსებული რესურსებისა და მასალების გამოყენებით; განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის უნარი; ასევე აქვს სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევები; შეგნებული აქვს უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა. სწავლის სტრატეგიის სწორად დაგეგმვის და დროის ეფექტურად ორგანიზების უნარი; ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და ჯგუფური მუშაობის უნარები; საშუალება აქვს ეტაპობრივად განავითაროს პრაქტიკულ-პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელი პირობაა სწავლის შემდგომი გაგრძელებისათვის მაგისტრატურაში, რომელიც ორიენტირებულია ზოგადად რეგიონმცოდნეობის და კერძოდ თურქოლოგიის სფეროში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადებაზე.

ღირებულებები - კუსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს. ბაკალავრს აქვს: სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვისა და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობა; სხვათა მოსაზრებების პატივისცემა; მორალური და ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება. ბაკალავრი იცნობს თურქული ენისა და ლიტერატურის განვითარების წყაროებს და გაცნობიერებული აქვს თანამედროვე მეთოდები და ღირებულებები; აცნობიერებს თურქეთმცოდნეობის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეუძლია ენის როლის და მნიშვნელობის განსაზღვრა, ასევე სხვადასხვა ჯგუფური ღირებულებების განსაზღვრა; მოლაპარაკებების წარმართვის უნარების გამომუშავება; აქვს პროფესიული და პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვა.

9. თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	***ინგლისური ენა - დამწყებთათვის*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)*													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								*წინაპირობა არ გააჩნია*
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							*ENGL B 001*
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						*ENGL B 002*
ბ)	***უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*													
1.	***უცხო ენა I*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2*	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	*65*	*85*	6								წინაპირობის გარეშე
2.	***უცხო ენა II*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1*	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	*65*	*85*		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	***უცხო ენა III*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2*	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	*65*	*85*			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	***დარგობრივი უცხო ენა*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*	ENGL B 025 GERM B 025	3	35	40				3					ENGL B 003/ENGL B 013 GERM B 013

	(თურქოლოგია)	FREN B 025 RUSS B 025												FREN B 013 RUSS B 013
5.	*აკადემიური წერა*	ACAD B101	6	65	85	6								*წინაპირობის გარეშე*
6.	*ენათმეცნიერების შესავალი*	PHIL B101	6	65	85	6								*წინაპირობის გარეშე*
7.	*საქართველოს ისტორია*	HIST B101	6	65	85	6								*წინაპირობის გარეშე*
8.	*კლასიკური ენა /ლათინური/*	LAT B101	3	35	40	3								*წინაპირობის გარეშე*
9.	*ფილოსოფიის შესავალი*	PHLS B101	3	35	40	3								*წინაპირობის გარეშე*
	ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 111 კრედიტი													
1.	*თურქოლოგიის შესავალი*	TURK B101	3	35	40		3							*წინაპირობის გარეშე*
2.	*საქართველოს ისტორია XI-XXI საუკუნეებში*	HIST B102	6	65	85		6							HIST B101
3.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 1*	TURK B102	6	65	85		6							*წინაპირობის გარეშე*
4.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 2*	TURK B103	6	65	85			6						TURK B102
5.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 3*	TURK B104	6	65	85				6					TURK B103
6.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 4*	TURK B105	6	65	85					6				TURK B104
7.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 5*	TURK B106	6	65	85						6			TURK B105
8.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 6*	TURKB007	6	65	85							6		TURK B106
9.	*თურქული ენის პრაქტიკული კურსი 7*	TURK B108	6	65	85								6	TURK B107
10.	*ოსმალეთის ისტორია 1 (უძველესი დროიდან XVI ს. დამლევამდე)*	TURK B109	6	65	85		6							*წინაპირობის გარეშე*
11.	*ოსმალეთის ისტორია 2 (XVII- XIX სს.)*	TURK B110	6	65	85			6						TURK B109
12.	*ოსმალეთის ახალი ისტორია (მე–19 მეორე ნახევარი–1923 წლამდე)*	TURK B111	6	65	85				6					TURK B110
13.	*თურქეთის უახლესი ისტორია*	TURK B112	6	65	85					6				TURK B111
14.	*ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია*	HIST B106	3	35	40						3			*წინაპირობის გარეშე*
15.	*ისლამი (რელიგია, ისტორია,ცივილიზაცია)*	TURK B113	6	65	85			6						*წინაპირობის გარეშე*
16.	*თურქული ფოლკლორი და კულტურა*	TURK B114	3	35	40			3						*წინაპირობის გარეშე*
17.	*თურქული ლიტერატურა*	TURK B115	3	35	40				3					TURK B114
18.	*თურქული ენიდან თარგმნის თეორია და პრაქტიკა*	TURK B116	3	35	40						3			TURK B104
19.	*თურქეთის ეთნოგრაფია*	TURK B117	3	35	40			3						*წინაპირობის გარეშე*
20.	*თურქეთი და ევროკავშირი*	TURK B118	3	35	40							3		*წინაპირობის გარეშე*

21.	*თურქეთის გეოგრაფია*	TURK B119	3	35	40		3							*წინაპირობის გარეშე*
22.	***საბაკალავრო ნაშრომი***	TURK B120	9	75	150								9	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*
ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი														
(სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)										6		6	3	
24.	*თურქული ენის ისტორია*	TURK B121	6	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
25.	*თურქულენოვანი ქვეყნების ისტორია*	TURK B122	3	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
26.	*თურქული მიგრაცია დასავლეთ ევროპაში II მსოფლიო ომის შემდეგ*	TURK B123	3	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
27.	*ოსმალეთი და ქართული პოლიტიკური სამყარო XVI-XIX საუკუნეებში*	TURK B124	6	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
28.	*აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია*	HIST B137	6	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
29.	*ირანის ისტორია*	HIST B139	6	65	85									*წინაპირობა არ გააჩნია*
30.	*„აღმოსავლეთის საკითხი“ XVIII-XIX საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში*	TURK B125	3	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
31.	*ელინიზმის ისტორია*	HIST B133	3	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
32.	*ბიზანტიის ისტორია*	HIST B134	3	35	40									*წინაპირობა არ გააჩნია*
თავისუფალი კურსები (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)			9								6	3		*წინაპირობა არ გააჩნია*
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა *(დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)*			60						12	12	12	12	12	*წინაპირობა არ გააჩნია*
ს უ ლ - 240 კრედიტი						30	30	30	30	30	30	30	30	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - თურქოლოგია

- **პროგრამის სახელწოდება** - დამატებითი (Minor) პროგრამა თურქოლოგია
- **სწავლების ენა** - ქართული
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - წინაპირობის გარეშე
- **პროგრამის მიზანი** - თურქოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება თურქოლოგიის (თურქული ენის, თურქული ლიტერატურის, თურქეთის ისტორიის) საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას თურქოლოგიის სფეროში. მთლიანობაში დამატებითი (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და შემდგომში კვალიფიკაციის შეცვლის საშუალებას.
  პროგრამის ძირითადი მიზანია მისცეს სტუდენტს ზოგადი ზოდნა თურქოლოგიაში, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევებს. პროგრამა არის განსხვავებული და თავისებური, ვინაიდან ის კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც აერთიანებს თურქული ენის, თურქული ფოლკლორისა და ლიტერატურის და თურქეთის ისტორიისა საკითხებს.

- **სწავლის შედეგები**

  ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულმა იცის თურქი ხალხის ეთნოგენეზის, თურქეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. დაეუფლა თურქი ეთნოსის მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს; გარკვეული წარმოდგენა შეექმნა ოსმალეთის იმპერიისა და თანამედროვე თურქეთის ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციებზე, მის რეგიონალურ პოლიტიკაზე. აქვს თურქული ენის (ფონეტიკა - ფონოლოგია, მორფონოლოგია, მორფოლოგია, მორფოსინტაქსი, სინტაქსი)

საბაზისო ცოდნა. ისლამამდელი (ანონიმური მწერლობა, დესტანები), ისლამის შემდგომდორინდელი (დივანის, თანზიმათის) და თანამედროვე თურქული ლიტერატურის საბაზისო ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - ფლობს თურქულ ენას, შეუძლია თურქულიდან ქართულად და ქართულიდან თურქულად მარტივი სირთულის ტექსტების თარგმნა, მცირე ფორმატის საქმიანი ქაღალდების თარგმნა. შეუძლია გარკვეული სამუშაოების შესრულება თურქეთის ისტორიისა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს ისტორიული მოვლენების, ფაქტების, ისტორიული პროცესის, ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერების, ანალიზისა და სინთეზის უნარი; მეცნიერული შეხედულებების აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი.

სწავლის უნარი - გამოშავებული აქვს საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარი თურქოლოგიის დარგში არსებული რესურსებისა და მასალების გამოყენებით; განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის უნარი.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს.

- **დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
1.	თურქული ენის პრაქტიკული კურსი 1	TURK B102	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	თურქული ენის პრაქტიკული კურსი 2	TURK B103	6	65	85					6				TURK B102
3.	თურქული ენის პრაქტიკული კურსი 3	TURK B104	6	65	85						6			TURK B103
4.	თურქული ენის პრაქტიკული კურსი 4	TURK B105	6	65	85							6		TURK B104
5.	ოსმალეთის ისტორია 1 (უძველესი დროიდან XVI ს. დამლევამდე)	TURK B109	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
6.	ოსმალეთის ისტორია 2 (XVII- XIX სს.)	TURK B110	6	65	85					6				TURK B109
7.	ოსმალეთის ახალი ისტორია (მე–19 მეორე ნახევარი–1923 წლამდე)	TURK B111	6	65	85						6			TURK B110
8.	თურქული ლიტერატურა	TURK B115	3	35	40							3		წინაპირობის გარეშე
არჩევითი კურსები - 15 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან												3	12	
ს უ ლ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	